საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია კოპალეიშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

მაია კოპალეიშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები მაია კოპალეიშვილს ახასიათებენ როგორც კეთილსინდისიერ და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატი ინტერესით ეკიდება და ყურადღებით არკვევს იმ საკითხის ყველა დეტალს, რომელზედაც მისი დამოკიდებულების გამოხატვა მნიშვნელოვანია.

მაია კოპალეიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, მაია კოპალეიშვილი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია კანდიდატზე ზეგავლენის მოხდენა. ერთ-ერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ სამართლიანობის პრინციპებისადმი მაია კოპალეიშვილის ერთგულება იწვევს მის მიმართ ადამიანების განაწყენებას, თუმცა უცნაურია, რატომ მიიჩნევს რეკომენდატორი კანდიდატის ნაკლოვანებად სამართლიანობის პრინციპებისადმი ერთგულებას.

მაია კოპალეიშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით, მაია კოპალეიშვილი შრომისმოყვარე და საქმისადმი ერთგული პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის გაწონასწორებული ადამიანი, მას შესწევს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციების საუკეთესოდ მართვის უნარი.

კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ მაია კოპალეიშვილის მიმართ დისციპლინური ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მაია კოპალეიშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც პროფესიულ წრეებში, ასევე სტუდენტებში. რეკომენდატორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მაია კოპალეიშვილთან ურთიერთობა პიროვნულად სასიამოვნო, ხოლო პროფესიულად სასარგებლოა. არაერთი მაღალკვალიფიციური იურისტი საკუთარი პროფესიული უნარების განვითარებას კანდიდატთან თანამშრომლობას უკავშირებს.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები.

მაია კოპალეიშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის შესაბამისად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოება, რომელიც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: მაია კოპალეიშვილმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნა. კანდიდატმა ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე, ცილისწამების შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მოთხოვნის დასაბუთების ვალდებულებაზე. კონსტიტუციის გადასინჯვის არსებულ მექანიზმზე, კონსტიტუციური კონტროლის მოდელებზე, სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპზე და სხვ.

მართალია, კანდიდატმა ცალკეულ შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა, თუმცა რიგ შემთხვევებში პასუხები იყო ზოგადი ხასიათის მოსაზრებებისა თუ ვარაუდის სახით და არ იკვეთებოდა საკითხის კონკრეტული გადაწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ მაია კოპალეიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში, რაც ჯამში შეადგენს 12 წელს. კანდიდატი ამჟამად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო დოკუმენტების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ მაია კოპალეიშვილს აქვს გადაწყვეტილების დასაბუთებისა და არგუმენტირების კარგი უნარები.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა საინტერესოდ იმსჯელა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე: საჯარო სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში საჩივრის ავტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების შესაძლებლობაზე. კანდიდატს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რაც საჩივრის პერსპექტიულობას სულაც არ უსვამს ხაზს. კანდიდატს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციულ სამართლებრივი მოთხოვნების განხილვისას სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის განხილვა არ უნდა განხორციელდეს, რამდენადაც აღნიშნული დაარღვევს თავად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილ განსჯადობის წესებს, რომლის თანახმადაც დავა უნდა განიხილოს განსჯადმა სასამართლომ. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შეკითხვაზე კანდიდატის მსჯელობაში არ იყო გამოკვეთილი პრობლემის აშკარა გადაწყვეტა.

წერის უნარი: მაია კოპალეიშვილმა წარმოადგინა 5 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 3 სამეცნიერო პუბლიკაცია, 1 სასამართლო გადაწყვეტილება და 1 განსხვავებული აზრი. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი აზრს გადმოსცემს აკადემიურად, ნათლად და გასაგებად, სამართლებრივ დოკუმენტებს არ ტვირთავს არამიზნობრივი მსჯელობით. მაია კოპალეიშვილი ფლობს აკადემიური წერის კულტურასა და საჭირო უნარებს, რასაც ადასტურებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი ზეპირი კომუნიკაციის უნარი. მაია კოპალეიშვილი საუბრობს გამართულად, მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად, ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს გადმოცემის არაჩვეულებრივი უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მაია კოპალეიშვილი არის პრეზენტაბელური და კომუნიკაბელური პიროვნება.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები მაია კოპალეიშვილს ახასიათებენ როგორც შრომისმოყვარე, კომპეტენტურ და ანალიტიკურად მოაზროვნე პიროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ მაია კოპალეიშვილი ყოველთვის მზადაა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ პირებს, ძირითადი საქმიანობის მიღმაც.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017-2019 წლებში მაია კოპალეიშვილი მონაწილეობდა 170 საქმის განხილვაში. მისი მონაწილეობით საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 32 გადაწყვეტილება, 80 განჩინება და 68 საოქმო ჩანაწერი.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: მაია კოპალეიშვილი არის არაერთი სასწავლო თუ სამეცნიერო ღონისძიების მონაწილე. კერძოდ, კანდიდატი ჩართული იყო ექსპერტის რანგში რამდენიმე საგრანტო პროექტში, მონაწილეობდა ტრენინგებსა და სემინარებში. მაია კოპალეიშვილი ორჯერ იმყოფებოდა გერმანიაში სამეცნიერო მივლინებით თემებზე: „საჯარო მმართველობის რეფორმა და ადამიანის უფლებების დაცვა“, „ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერება და თანამედროვე საჯარო მმართველობა“, „მმართველობის მოდერნიზაცია“. კანდიდატი არის არაერთი საერთაშორისო კონფერენციისა და კონგრესის მონაწილე.

მაია კოპალეიშვილი არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მაია კოპალეიშვილი ეწევა აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. კერძოდ მაია კოპალეიშვილს გამოქვეყნებული აქვს 17-მდე სამეცნიერო სტატია. იგი ასევე გახლდათ სამეცნიერო ჟურნალისა და სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი.

ამასთან, კანდიდატი უძღვება სალექციო კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ასევე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას კავკასიის სამართლის სკოლაში და ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. მაია კოპალეიშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 90 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა - 17 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 17 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 18 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 14 ქულა;
   2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 14 ქულა;
   2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
   2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021